სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

საქართველოს გარემოსა
და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო

ეროვნული სატყეო
სააგენტო

შეხვედრა ქუთაისის მოსახლეობასთან

4 აპრილს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა ქუთაისში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა.

მხარეებმა გარემოსდაცვით სფეროში არსებული აქტუალური საკითხები და მათი გადაჭრის გზები განიხილეს. საუბრის მთავარი თემა ხე-ტყის და წიაღის მოპოვებასთან დაკავშირებული რეგულაციები, ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაცია და სოციალურ ჭრებთან დაკავშირებული პროცედურების უფრო მეტად გამარტივება იყო. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში 3 საათის განმავლობაში გაგრძელდა.

მოსახლეობასთან შეხვედრები საქართველოს ყველა რეგიონში ეტაპობრივად გამიართება.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

შეხვედრა დანიის დელეგაციასთან

7 აპრილს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში დანიის კონსულ ესბერ ემბორგთან და დანიელ ინვესტორებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე განიხილეს ძირნაყარი ხეების მდგომარეობა ტყეებში და მათი შემდგომი გადამუშავების ეტაპები. დაიგეგმა მომავალში ენერგეტიკული პლანტაციების შექმნა და მათი მართვის საკითხები. შეხვედრას ესწრებოდნენ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა და სააგენტოს ხელმძღვანელი პირები.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციები კახეთში

11 აპრილს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ ბესარიონ აბაშიძემ, პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის აპარატის უფროსმა ნანა თალაკვაძემ, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ და ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის უფროსმა ნათია იორდანიშვილმა კახეთის სატყეო სამსახურის ხელმძღვანელობასთან ერთად ახლადგაშენებული სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციები მოინახულეს.

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ აკაციის პლანტაციების გაშენება კახეთის რეგიონში გასულ წელს დაიწყო. ყვარლის სატყეო უბნის ახალსოფლის სატყეოს ტერიტორიაზე 0,1 ჰა ფართობზე მოწყობილი სანერგედან მიღებული ნერგებით 2015 წელს პლანტაცია 6,5 ჰა ფართობზე გაშენდა და 37 500 ნერგი დაირგო. მიმდინარე წლის აპრილის თვეში იმავე უბნის ტერიტორიის 3,5 ჰა ფართობზე 16 500 ნერგი დაირგვება და მოეწყობა სანერგე 0,2 ჰა ფართობზე, ხოლო, შემოდგომის სეზონზე დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნის 5,8 ჰა ფართობზე კიდევ ერთი პლანტაციის მოწყობა განხორციელდება და 29 000 ნერგი გაშენდება. სწრაფმზარდი სახეობებით პლანტაციების გაშენება ბუნებრივ ტყეზე ზეწოლის შემცირების საუკეთესო საშუალებაა და, ერთის მხრივ, ხელს უწყობს გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, ხოლო, მეორეს მხრივ, მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის მერქნულ რესურსზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

მერქნული ბიომასის წარმოების ხელშეწყობის მიზნით მემორანდუმი გაფორმდა

13 აპრილს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსა და კომპანია “PINUS GEORGIA”-ს შორის საქართველოში მერქნული ბიომასის წარმოების ხელშეწყობის მიზნით მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში კახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში სწრაფმზარდი ენერგეტიკული პლანტაციების გაშენება იგეგმება.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

აქცია „გადაარჩინე კოლხური ბზის” ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურების ინიციატივით, აქცია „გადაარჩინე კოლხური ბზის” ფარგლებში მოსახალეობასთან შეხვედრები მოეწყო. შეხვედრები გაიმართა ქალაქ ქუთაისში, ამბროლაურის რაიონში, ლიხაურში, მარტვილის, სენაკის, ხობის, წალენჯიხისა და მუნიციპალიტეტების სხვა სოფლებში.

მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია კოლხური ბზის კულტურულ-ეკოლოგიურ მნიშვნელობაზე, ამ სახეობის უკანონოდ მოპოვების შემთხვევაში არსებულ სანქციებზე და ბზის დაავადების და მავნებლების შესახებ საინფორმაციო ბროშურები გადაეცათ.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

ბზის დარგვის აქცია იმერეთში

25 აპრილს ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის ინიციატივით ტყიბულისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში დარგვის მორიგი აქცია გაიმართა.2ჰა ფართობზე 2500-მდე ნერგი დაირგო. ღონისძიებაში ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო ჩაფიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ. ასევე, იმერეთის სატყეო სამსახურის მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში 100-მდე კოლხური ბზის ნერგი დაირგო.

სასწავლო კურსი სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურში

28 აპრილს ეროვნული სატყეო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურმა მოწვეულ მეტყევე სპეციალისტებთან ერთად პრაქტიკული სასწავლო კურსი ჩაატარა, რის შედეგადაც სამსახური უფრო კვალიფიციურად ჩაატარებს საგაზაფხულო სამუშაოებს, როგორიცაა შერჩეული საკვლევი ფართობების შესწავლა, სოციალური და სპეციალური ტყეკაფების გამოყოფა.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

შეხვედრა დანიის დელეგაციასთან

10 მაისს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში დანიის კონსულ ესბერ ემბორგთან და დანიელ ინვესტორებთან
მორიგი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე იმსჯელეს ძირნაყარი ხე–ტყის გამოტანის ვადებზე, აგრეთვე
განიხილეს პოტენციური ადგილები სწრაფმზარდი ენერგეტიკული პლანტაციების შესაქმნელად.
შეხვედრას ესწრებოდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა,
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე მერაბ მაჭავარიანი და სააგენტოს სხვა
ხელმძღვანელი პირები.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

ბორჯომის რაიონის სოფელ დაბაში გადამწვარი ხეობის მოვლა აღდგენის სამუშაოები გრძელდება

ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით ბორჯომის რაიონის სოფელ დაბაში გადამწვარი ხეობის მოვლა-აღდგენის სამუშაოები გრძელდება. ღონისძიებას შემოუერთდა არასამთავრობო ორგანიზაციები “World Vision” და “დემოკრატ მესხთა კავშირი” ახალგაზრდული გაერთიანება, რომლემაც 4000 წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობის ნერგი დარგეს. ასევე, დაბის ტერიტორიაზე ეროვნულ სატყეო საგენტოს სასკოლო სანერგის პროექტის ფარგლებში, წაღვერის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა შემოდგომაზე დაწყებული თესვის სამუშაოები განაგრძეს და ამჯერად ფიჭვის, ნაძვის და სოჭის თესლი დათესეს.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება

17 მაისს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და ‘’საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები-საქართველოს’’ შორის გარემოს დაცვის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის გაფორმებას სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები-საქართველოს თანათავმჯდომარე რუსუდან სიმონიძე და სხვა ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

დაზიანებული კოლხური ბზის კორომების დამუშავება მიმდინარეობს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო დაზიანებული კოლხური ბზის კორომების დამუშავებას განაგრძობს. შეწამვლის სამუშაოები იმერეთის, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის 400 ჰა-ზე ხორციელდება.

პრეპარატის შესხურება სპეციალური ტექნიკის საშუალებით, თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ქარხნული აეროზოლის გენერატორის გამოყენებით ხდება, რომელიც არეგულირებს სითხის დისპერსიულობის დონეს, სითხე გადაყავს აეროზოლში - ნისლში და გამიზნულია უშუალოდ ტყის ფართობების დასამუშავებლად.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

ახალი „ტყის კოდექსის“ კანონპროექტის შიდაუწყებრივი განხილვა ყვარელში

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერით 24 მაისს ქ. ყვარელში საქართველოს ახალი „ტყის კოდექსის“ კანონპროექტის შიდაუწყებრივი განხილვა გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილეები ეკატერინე გრიგალავა და ბესარიონ აბაშიძე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლები. მხარეებმა იმსჯელეს დოკუმენტის ცალკეულ საკითხებზე და კანონპროექტზე მომუშავე ექსპერტებს წარუდგინეს რეკომენდაციები. შეხვედრას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე თეიმურაზ მურღულია და სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსი კარლო ამირგულაშვილი უძღვებოდნენ.

ეროვნული სატყეო სააგენტო

სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციების გაშენება

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო აგრძელებს სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციების გაშენების სამუშაოებს. ამჯერად, შიდა ქართლის სატყეო სამსახურის მიერ კასპის სატყეო უბნის ტერიტორიაზე პლანტაციის გაშენება 3000-მდე ვერხვის სახეობის კალმით განხორციელდა. სწრაფმზარდი სახეობებით პლანტაციების გაშენება ბუნებრივ ტყეზე ზეწოლის შემცირების საუკეთესო საშუალებადაა მიჩნეული და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო მომავალში გეგმავს მსგავსი სამუშაოების მასშტაბების გაზრდას.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

მუნიციპალური ტყეების მართვა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსი კარლო ამირგულაშვილი და ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებს შეხვდნენ, სადაც მუნიციპალიტეტისთვის ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მართვაში გადაცემის საკითხი განიხილეს.

საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის რესურსების მართვა სახელმწიფოსთან ერთად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

ამ ეტაპზე მართვაში გადაცემის პროცედურების სამართლებრივი მოწესრიგება მიმდინარეობს, რის შემდეგაც განიხილება მუნიციპალური ტყეების გადაცემის პროცედურა.

ეროვნული სატყეო სააგენტო

შეხვედრა რეგიონალური სამსახურების ხელმძღვანელ პირებთან

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა რეგიონალური სამსახურების ხელმძღვნელ პირებს შეხვდა. შეხვედრაზე იმსჯელეს ხე-ტყის დამზადების, სოციალური ჭრების, პლანტაციებსა და სანერგეებში მიმიდინარე სამუშაოებზე. რეგიონალური სამსახურის თანამშრომლებმა ისაუბრეს რეგიონში არსებული პრობლემების შესახებ და განხორციელებული სამუშაოების ანგარიში წარადგინეს. დაიგეგმა სამომავლო ნაბიჯებიც რომლებიც მოსახლეობის მერქნული რესურსით დაკმაყოფილების, ასევე, ტყეების დაცვის და მოვლის ღონისძიებების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

ტყის მცველთა შესაძლებლობების გაძლიერება

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, GIZ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერითა და ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან თანამშრომლობით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანია ტყის მცველთა შესაძლებლობების გაძლიერებისათვის, საჭიროებების გამოვლენა და ტრენინგების დაგეგმვა.

პროექტის ფარგლებში 2016 წლის აპრილიდან საქართველოს 9 რეგიონში 400 მდე ტყის მცველი გადამზადდება.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციები კახეთში

30 მაისს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა- აღდგენის დეპარტამენტის უფროსმა ნათია იორდანიშვილმა უცხოელ ექსპერტთან და კახეთის სატყეო სამსახურის ხელმძღვანელობასთან ერთად ყვარლის სატყეო უბნის, ახალსოფლის სატყეო ტერიტორიაზე ახლადგაშენებული სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციები მოინახულა. ამ ტერიტორიაზე პლანტაციები მიწის 10 ჰექტარს მოიცავს.

სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციების გაშენება ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მერქნულ რესურსზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ხორციელდება.

პლანტაციების გაშენება კახეთის რეგიონში გასულ წელს დაიწყო და მომავალშიც გაგრძელდება.ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა შიდა ქართლის სატყეო სამასახურს ესტუმრა, სადაც განიხილეს შეშის მომარაგების საკითხები და მომდევნო პერიოდში საველე სამუშაოების განრიგზე ისაუბრეს. აგრეთვე მოხდა ახალი ტექნიკის დათვალიერება, რომელიც ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციისთვის გამოიყენება.

ეროვნული სატყეო სააგენტო

კავკასიური ფიჭვის სანერგე ბარისახოში

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ და სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა რეგიონებში სანერგეების მონიტორინგის ფარგლებში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ბარისახოს სატყეო უბანში 1220 კვადრატულ მეტრზე გაშენებული კავკასიური ფიჭვის სანერგე დაათვალიერეს, რომელიც თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალი საავტომობილო გზის მონაკვეთის რეკონსტრუქციის შედეგად მოჭრილი მერქნული რესურსების საკომპენსაციოდ, კერძო კომპანიის მიერ განხორციელდა.

არსებული სანერგის მოვლის პროცესზე ყოველდღიურ დაკვირვებას აწარმოებენ რეგიონის სატყეო სამსახურის უფროსი დავით ალადაშვილი და ამავე სამსახურის მეტყევე სპეციალისტები.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციები ახალსოფელში

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა- აღდგენის დეპარტამენტის უფროსმა ნათია იორდანიშვილმა უცხოელ ექსპერტთან და კახეთის სატყეო სამსახურის ხელმძღვანელობასთან ერთად ყვარლის სატყეო უბნის, ახალსოფლის სატყეო ტერიტორიაზე ახლადგაშენებული სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციები მოინახულა.

ამ ტერიტორიაზე პლანტაციები მიწის 10 ჰექტარს მოიცავს. სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციების გაშენება ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მერქნულ რესურსზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ხორციელდება. პლანტაციების გაშენება კახეთის რეგიონში გასულ წელს დაიწყო და მომავალშიც გაგრძელდება.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

დაზიანებული კოლხური ბზის კორომების დამუშავება

კოლხური ბზის გადარჩენის ეროვნული მრავალწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება - ბზის ალურით (Cydalima perspectalis) დაზიანებული კოლხური ბზის კორომების შეწამლვითი ღონისძიების პირველი ეტაპი დასრულდა. სამუშაოები იმერეთის, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის 400 ჰა-ზე განხორციელდა. შეწამლვის პრეპარატის შესხურება მაღალტექნოლოგიური ქარხნული აეროზოლის გენერატორის გამოყენებით მოხდა, რომელიც უშუალოდ ტყის ფართობების დასამუშავებლადაა გამიზნული. კოლხური ბზა „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობაა და მისმა ხმობამ ბუნებრივი გავრცელების მთელს არეალზე ბოლო რამოდენიმე წელია მასიური ხასიათი მიიღო. სამინისტროს მიერ შემუშავებული „კოლხური ბზის გადარჩენის ეროვნული რეაგირების გეგმის“ ფარგლებში მიმდინარე და მომავალ წლებში სააგენტო მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის გარდა ბზის აღდგენისა და კონსერვაციის ღონისძიებების განხორციელებას გეგმავს. მავნებელთან ბრძოლის პროცესი სპეციალისტების ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს და მავნებლის ბიოლოგიის გათვალისწინებით დაზიანებული ბზის კორომების შეწამლვა წლის ბოლომდე რამოდენიმეჯერ განხორციელდება.

ეროვნული სატყეო სააგენტო

შეხვედრა სვანეთის მეწარმეებთან

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, მესტიის მაჟორიტარ დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძესთან ერთად ეროვნულ სატყეო სააგენტოში სვანეთიდან ჩამოსულ მეწარმეებს შეხვდა და მოისმინა მათი მოთხოვნები. მათ შორის ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების გაყვანის და რეაბილიტაციის საკითხი, რომელთა ძირითადი ნაწილი სააგენტოს მიერ გათვალისწინებულ იქნა. დაიგეგმა მომდევნო სამუშაო შეხვედრები. შეხვედრას ესწრებოდნენ სსიპ ეროვნული სატყეო საგენტოს უფროსის მოადგილე ირაკლი გოდუაძე და სააგენტოს წამყვანი სპეციალისტები.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

,,ტყის კოდექსის“ კანონპროექტის პირველი საჯარო განხილვა გაიმართა

18 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ,,ტყის კოდექსის“ კანონპროექტის პირველი საჯარო განხილვა გაიმართა.

სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსმა კარლო ამირგულაშვილმა, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს კანონპროექტის ძირითადი მიმართულებები გააცნო. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია.

სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნა-მოსაზრებებს გაითვალისწინებს.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

ნერგების დარგვა მცხეთაში

18 მარტს მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა გოჩა ზეიკიძემ, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ და ქალაქ მცხეთის მერიისა და საკრებულოს წარმომადგნელებმა, ფონდ "გაამწვანე საქართველო"-სთან ერთად გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის ახალი ტექნიკა

18 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ბესარიონ აბაშიძე და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა შიდა ქართლის რეგიონში ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების ახალი ტექნიკის გამოყენებით აღდგენა-რეაბილიტაციას დაესწრნენ.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

21 მარტი ტყის საერთაშორისო დღეა

ტყის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივით, მცხეთაში გამწვანების აქცია გაიმართა. აქციაში თავდაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

გიგლა აგულაშვილმა ნერგები სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის, I მსუბუქი ქვეითი ბრიგადის, მე-12-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ჯარისკაცებთან და მცხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად დარგო.

აქციის ფარგლებში, ე.წ „თეატრონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ეროვნულ საშენ მეურნეობაში გამოყვანილი 300-მდე ელდარის ფიჭვის, თუთის, იფანის, პავლონიასა და ტუიას სახეობის ნერგი დარგო. დეგრადირებული პარკის რეკონსტრუქციისთვის საქართველოს საპატრიარქოს ფონდმა „გაამწვანე საქართველო“ ნერგები გამოყო.

21 მარტი ტყის საერთაშორისო დღედ გაეროს გენერალურმა ასამბლემამ აღარა. ამ დღის აღნიშვნის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ტყის მნიშვნელობის შესახებ.

ეროვნული სატყეო სააგენტო

„ფოტო სინთეზი 2016“ ფინალური ფოტოგამოფენა და დაჯილდოება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში სასკოლო კონკურსის „ფოტო სინთეზი 2016“ გამარჯვებულები დააჯილდოვა.

ნიკო კეცხოველის სახელობის I, II და III ხარისხის პრემიების მფლობელები ჟიურიმ 53 ფინალისტიდან შეარჩია.

კონკურსის თემა იყო - „საქართველოს ფაუნა - ფოტოგრაფია vs. ნადირობა“, რაც მიმართულია ბრაკონიერების წინააღმდეგ, რომელიც დიდი საფრთხეა როგორც ველური ბუნებისათვის ასევე ქვეყნის განვითარებისა და მომავალი თაობების ჯანსაღი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის.

პრემია 2014 წელს CENN-ის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ინიციატივით დაფუძნდა და „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში „ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ღონისძიებაში მონაწილეობა პარტნიორი სახელმწიფო, საერთაშორისო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

გაამწვანე უდაბნო

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ საგარეჯოში სოფელ უდაბნოში ქარსაფარი ზოლის აღდგენით სამუშაოებში მიიღეს მონაწილეობა.

აქციაში „გაამწვანე უდაბნო“ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და სოფელ უდაბნოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

ერთ კილომეტრიან მონაკვეთზე ეროვნულ საშენ მეურნეობაში გამოყვანილი ისეთი სახეობები დაირგო, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილისთვისაა დამახასიათებელი და ეკოკლიმატურ პირობებთან ადვილად ადაპტირებადია.

აქციის ფარგლებში, 4000-მდე ფშატის, თეთრი აკაციისა და ჰიბრიდული თუთის სახეობის ნერგები დაირგო. აქციას პერმანენტული ხასიათი ექნება და შემოდგომაზე 2000 ნერგი დაირგვება.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

დასაქმების ფორუმი

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების დასაქმების ფორუმში მიიღო მონაწილეობა. მოხდა სტუდენტების აქტიური დაინტერესება სხვადასხვა სახის პროექტებით, აქციებით და სტაჟირების კუთხით. სააგენტოს გადაწყვეტილი აქვს სტუდენტებს გაუზიაროს გამოცდილება, რაც მათ დაეხმარებათ სამომავლოდ დასაქმების პერსპექტივაში.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

შეხვედრები ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობასთან

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი საქართველოს რეგიონებში შეხვედრებს განაგრძობს. გიგლა აგულაშვილი მხარეების გუბერნატორებთან და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ერთად, მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა.

მხარეებმა გარემოსდაცვით სფეროში არსებული აქტუალური საკითხები და მათი გადაჭრის გზები განიხილეს. საუბრის მთავარი თემა ხე-ტყის და წიაღის მოპოვებასთან დაკავშირებული რეგულაციები, ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაცია და სოციალურ ჭრებთან დაკავშირებული პროცედურების უფრო მეტად გამარტივება იყო. შეხვედრები ინტერაქტიულ რეჟიმში 2 საათის განმავლობაში გაგრძელდა. მათ, აგრეთვე მინისტრის მოადგილე ბესარიონ აბაშიძე და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა ესწრებოდნენ.

მსგავსი შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიმართება.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

ბობოთში 4 600 ძირი ხის ნერგი დაირგო

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოთში გამწვანების აქცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა და ტყიბულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ელისო ჩაფიძემ მიიღო.

აქციის ფარგლებში, ხანძრის შედეგად გადამწვარ 4 ჰექტარ ტყის ფართობზე 4600 სხვადასხვა სახეობის ნერგი დაირგო. ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით, რეგიონში დარგვის აქციები მაისის ბოლომდე გაგრძელდება.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

ხე-ტყის უკანონო მოპოვების ფაქტები

სოციალური ქსელით ხე-ტყის უკანონო მოპოვების 45 შემთხვევა გაშუქდა

ეროვნული სატყეო
სააგენტო

გამოვლენილი სამართალდარღვევების სტატისტიკა

2016 წლის I კვარტლის განმავლობაში რეგიონალური სატყეო სამსახურების თანამშრომელთა მიერ გამოვლენილ იქნა 1228 სამართალდარღვევის ფაქტი, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 1116 ფაქტი, სისხლის სამართლის - 112 ფაქტი. უკანონოდ მოპოვებული რესურსის მოცულობამ შეადგინა 6868,3 მ3, გარემოზე მიყენებულმა ზიანის ოდენობამ შეადგინა 836 154,7 ლარი.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

გამოვლენილი სამართალდარღვევების ფაქტები 2016 წლის I კვარტალი

ტერიტორიული ორგანოები (სატყეო სამსახურები)	გამოვლენილი სამართალ დარღვევის ფაქტები,სულ	მათ შორის		უკანონოდ მოპოვებული რესურსის რაოდენობა			გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობა	ზიანი,მათ შორის		ჩამორთმეული იარაღი ან სხვა საშუალება	ჩამორთმეული რესურსი
		ადმინისტრაციული სამართალ დარღვევები	სისხლის სამართალ დარღვევები	ხე-ტყე (კუბ.მ)	სამასალე	საშეშე		ადმინისტ. საქმეებზე	სისხლის სამართლის საქმეებზე		
გურია	61	52	9	427.9	0.0	427.9	15 170.7	11 117.9	4 052.7	0	13.6
იმერეთი	355	349	6	522.0	155.3	366.7	155 189.6	28 730.8	126 458.9	0	30.638
კახეთი	170	159	11	686.8	179.9	506.8	106 372.1	6 382.2	99 989.9	0	63.92
მცხეთა-მთიანეთი	124	122	2	611.9	2.9	608.9	66 727.4	22 931.3	43 796.1	0	0
რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი	41	39	2	137.7	71.8	66.0	15 967.3	5 416.4	10 551.0	0	2.42
სამეგრელო - ზემო სვანეთი	128	126	2	299.4	6.5	292.9	22 667.5	16 378.8	6 288.7	0	0
სამცხე-ჯავახეთი	132	96	36	2 793.1	1 301.0	1 492.1	292 293.0	7 969.0	284 324.0	19	53.14
ქვემო ქართლი	109	75	34	1 049.6	0.0	1 049.6	122 244.2	12 261.4	109 982.7	7	69.516
შიდა ქართლი	108	98	10	340.0	54.5	285.5	39 523.0	14 259.6	25 263.4	0	1.935
სულ	**1228**	**1116**	**112**	**6 868.3**	**1 772.0**	**5 096.3**	**836 154.7**	**125 447.3**	**710 707.4**	**26**	**235.169**

საანგარიშო პერიოდში შიდა კონტროლის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შერჩევითი წესით შემოწმებული იქნა იმერეთისა და კახეთის სატყეო სამსახურების დაქვემდებარებაში არსებული ტყის ფონდის ტერიტორია. შემოწმების შედეგად გამოვლინდა უკანონო ჭრის ფაქტები. აღრიცხული უკანონო ჭრის საერთო რაოდენობამ შეადგინა 1 713,5 მ3, ხოლო გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა - 247 567,5 ლარი.

შემოწმების მასალები მზადდება შემდგომი რეაგირების მიზნით სამართალდამცავ ორგანოებში გადასაგზავნად.

ეროვნული სატყეო სააგენტო